საქართველოს მთავრობის

დადგენილება №98

2011 წლის 23 თებერვალი

ქ. თბილისი

მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსის „ლეონარდო და ვინჩის“ დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 27 აგვისტოს დადგენილება №447 - ვებგვერდი, 31.08.2015წ.

მუხლი 1. საქართველოში სასკოლო განათლების დონის ამაღლებისა და მეცნიერების პოპულარიზაციის ხელშეწყობის მიზნით, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „რ“ ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლისა და „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 5 [1]მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსის „ლეონარდო და ვინჩის“ დებულება.
საქართველოს მთავრობის 2015 წლის 27 აგვისტოს დადგენილება №447 - ვებგვერდი, 31.08.2015წ.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი ნ. გილაური

მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსის „ლეონარდო და ვინჩის“ დებულება

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 27 აგვისტოს დადგენილება №447 - ვებგვერდი, 31.08.2015წ.

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

ეს დებულება განსაზღვრავს მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსის „ლეონარდო და ვინჩის“ (შემდგომში – კონკურსი) ჩატარების წესსა და პირობებს, აგრეთვე მისი მეთოდოლოგიური და ადმინისტრაციული უზრუნველყოფის საკითხებს.
საქართველოს მთავრობის 2015 წლის 27 აგვისტოს დადგენილება №447 - ვებგვერდი, 31.08.2015წ.

მუხლი 2. კონკურსის მიზნები

კონკურსის მიზნ ებია:

ა) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მიმდინარე რეფორმის ხელშეწყობა;

ბ) სასწავლო პროცესის სტიმულირება -სრულყოფა, სწავლისადმი ინტერესის გაღვივება;

გ) ინოვაციებისა და ტექნიკის მიმართ მოსწავლეთა ინტერესის გაღვივება;

დ) შემოქმედებითი აზროვნებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება .

მუხლი 3. კონკურსის ადმინისტრირება

1. კონკურსის სრულ ადმინისტრირებას ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი (შემდგომში – ფონდი).

2. ფონდი უზრუნველყოფს:

ა) კონკურსის გამოცხადებას კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ბ) კონკურსის დეტალური პირობების შემუშავებასა და დამტკიცებას;

გ) კონკურსის ჩატარების წესისა და საკონკურსო დოკუმენტაციის მიღების ვადების დადგენას და საჯაროდ გამოცხადებას;

დ) საკონკურსო განაცხადების შეფასების კრიტერიუმების დამტკიცებას;

ე) საკონკურსო განაცხადების შეფასებისათვის აუცილებელი პროცედურების ადმინისტრირებას;

ვ) გამარჯვებული საკონკურსო განაცხადების გამოვლენასა და დაჯილდოებას.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 18 დეკემბრის დადგენილება №558 – ვებგვერდი, 21.12.2017წ.

მუხლი 4. კონკურსის ძირითადი პირობები

1. კონკურსი იმართება მოსწავლეთა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეს. საკონკურსო განაცხადების შეტანა შეიძლება ინდივიდუალურად და ჯგუფურად.

2. ერთი და იგივე პირი ვერ იქნება საკონკურსოდ წარდგენილი ორზე მეტი განაცხადის ავტორი ან თანაავტორი.

3. საკონკურსოდ არ განიხილება განაცხადები, რომლებიც ადრე უკვე იყო გამარჯვებული სხვა კონკურსებზე.

4. კონკურსის მონაწილეს უფლება აქვს საკონკურსოდ წარადგინოს მხოლოდ საკუთარი ავტორობით/თანაავტორობით შედგენილი განაცხადი.

მუხლი 5. საკონკურსო განაცხადების შეფასება

1. საკონკურსო განაცხადებს შეაფასებს საკონკურსო კომისია, რომლის შემადგენლობასაც აკომპლექტებს ფონდის გენერალური დირექტორი.

2. საკონკურსო განაცხადები, რომლებიც არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს, მოიხსნება კონკურსიდან.

3. საკონკურსო ნომინაციები და პრიზები განისაზღვრება ფონდის მიერ საკონკურსოდ გამოყოფილი თანხის შესაბამისად.

4. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა.